ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01182122817**
თარიღი: **31/07/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 26 ივლისის #60-0118207339 წერილი (AR1612919) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ შპს ,,ბაზიტის'' კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა #13 ს.კ. #01.72.14.035.142) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გენგეგმის თანახმად ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (6 პირამიდული კვიპაროსი, 3 იფანი) ვერ ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (309.1 კვ.მეტრი), მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბებისა და ქალაქ თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გამწვანების პროექტის ფარგლებში სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ამდენად, განმცხადებელმა გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განსაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა აღემატებოდეს 14 სანტიმეტრს.

გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველ საინფორმაციო დაფის ესკიზზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით და მასზე გამოსახული უნდა იყოს მწვანე ნარგავები. გამოსაკრავი საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)